ISSN 1512-1801

The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

განათლების შეღწევადობა, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება

ირმა ქურდაძე[1], მარინა გვარამაძე[2]

[1]პედაგოგიკის დოქტორი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
Irmak15@mail.ru

[2]ქ ახალციხის დამოუკიდებელი სკოლა -მზექას ინგლისური ენისა და ლიტერატურის სერთიფიცირებული პედაგოგი
marinagvaramadze5@gmail.com

ანოტაცია:

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმა დღის წესრიგში აყენებს მრავალი პრობლემის სავსებით ახალი თვალთახედვით გადაწყვეტას, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია განათლება, მისი გარდაქმნა და კრიზისიდან გამოყვანა. განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა ობიექტური მოვლენა და ისტორიულად დასაბუთებული თანმხლები პროცესია ყოველივე იმისა, რასაც "ახალი წყობის" სინამდვილე ანუ თანამედროვე რეალობა მოითხოვს.

ტრადიციულად, ნებისმიერი საზოგადოების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ თავად საზოგადოების წევრები დაიცავენ და განავითარებენ მასში არსებულ ფასეულობებს, ქცევის ნორმებსა და ჩვევებს, გაითავისებენ ისეთი ფენომენის როლსა და მნიშვნელობას, როგორიც არის განათლება.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევების ანალიზის საფუძველზე საზოგადოებაში გამუდმებით მიმდინარეობს საუბარი სკოლაში მოსწავლეთა მომზადებისა და წიგნიერების დონის ამაღლებაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის გაუმჯობესების ხარისხზე

შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის კვლეევებისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე აუცილებელია ახალი მიდგომების დანერგვა, საერთაშორისო სტანდარტების გაზიარება და დაფუძნება.

საკვანძო სიტყვები: *ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ადამიანები, საზოგადოებაში ინტეგრაცია, განათლების საყოველთაოობა, საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა, დისკრიმინაციასთან ბრძოლა*

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმა დღის წესრიგში აყენებს მრავალი პრობლემის სავსებით ახალი თვალთახედვით გადაწყვეტას, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია განათლება, მისი გარდაქმნა და კრიზისიდან გამოყვანა. განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა ობიექტური მოვლენა და ისტორიულად დასაბუთებული თანმხლები პროცესია ყოველივე იმისა, რასაც "ახალი წყობის" სინამდვილე ანუ თანამედროვე რეალობა მოითხოვს.

ISSN 1512-1801

ტრადიციულად, ნებისმიერი საზოგადოების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ თავად საზოგადოების წევრები დაიცავენ და განავითარებენ მასში არსებულ ფასეულობებს, ქცევის ნორმებსა და ჩვევებს, გაითავისებენ ისეთი ფენომენის როლსა და მნიშვნელობას, როგორიც არის განათლება.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევების ანალიზის საფუძველზე საზოგადოებაში გამუდმებით მიმდინარეობს საუბარი სკოლაში მოსწავლეთა მომზადებისა და წიგნიერების დონის ამაღლებაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის გაუმჯობესების ხარისხზე. (**Comprehensive costing and finance strategies In Georgia,Unicef, Tbilisi, 2012**)

შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის კვლეევებისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე აუცილებელია ახალი მიდგომების დანერგვა, საერთაშორისო სტანდარტების გაზიარება და დაფუძნება.

როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციაა, მნიშვნელოვანია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანების განათლების მიცემის ფორმების დახვეწა ,,მათი სოციალურ ინტეგრაციის გაღმავება, დისკრიმინაციის შემსუბუქება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანთა უფლებების დაცვა, განათლების საყოველთაობა არის ადამიანთა უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ამ მხრივ კი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს და ცალსახად იკვეთება საზოგადოებასთან ყოველდღიური ურთიერთობა/მონაწილეობის უფლებით სარგებლობა; საზოგადოების მხრიდან ამ ადამიანების მიღებითა და საზოგადოებრივი ცნობიერების თანდათანობითი გაზრდით დისკრიმინაციასთან ბრძოლა.

ამ პროცესში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საგანმათლებლო დაწესებულებების, სკოლების, უნივერსიტეტების ბიბლიოთეკარების მომზადება-გადამზადების პროცესი .

უნდა განისაზღვროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანების მოთხოვნები და მათი გათვალისწინებით განხორციელდეს შშმპ პირების მომსახურება.

საზოგადოებაში ეფექტური ინტეგრირების ყველაზე დიდ პოტენციალს სწორედ ბიბლიოთეკა წარმოადგენს. ეს პროცესები ხელს შეუწყობს შშმ პირების მონაწილეობის გაზრდას, მათ ჩართვას პრაქტიკულ აქტივობებში და, შესაბამისად, თემიდან, საზოგადოებიდან გარიყვის შემცირებას; კულტურის, პოლიტიკის და პრაქტიკის რესტრუქტურირების უზრუნველყოფას ისე, რომ პასუხობდეს ყველა განსხვავებულობას, ყველა მოზარდის, ახალგაზრდის, მშობლის და პრაქტიკოსის თანასწორობის დაფასებას, ადამიანებს შორის განსხვავებულობას აღქმას, როგორც ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში მონაწილეობის მხარდამჭერ რესურსს - ყველასათვის ხარისხიანი განათლების და ზრუნვის უფლების აღიარებას, სრულყოფისა და განვითარების შესაძლებლობის მიცემას საზოგადოების ყველა ფენისათვის.

ISSN 1512-1801

ასევე, აქცენტები უნდა გაკეთდეს პროფესიონალი, სოციალური ინტეგრაციისა და ანტიდისკრიმინაციულ საკითხებში დახელოვნებული კადრის მომზადებაზე, რომელიც მისცემს სასარგებლო რჩევა-დარიგებებს და დაეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, სტუდენტებს (ან პოტენციურ სტუდენტებს) განათლების მიღებაში. ასევე, აუცილებელია, სხვადასხვა ტიპის დარღვევების, რაც დაკავშირებულია შემეცნებასა და სწავლასთან, (სწავლასთან დაკავშირებული ზომიერად და მწვავედ გამოვლენილი სირთულეები და დისლექსია), – კომუნიკაციასა და ინტერაქციასთან (SWOT ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ აუტიზმზე ფოკუსირება), ფიზიკურ მოძრაობებთან და მგრძნობელობებთან, სოციალურ უნარებთან, ემოციურ გამოხატვასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის ხელშემწყობი სასწავლო მოდულების მომზადება, შესაბამისი სწავლების სტრატეგიების დამუშავება. **(ტემპუსის საგრანტო პროექტი: ,,Access to Inclusive Education and Social Integration , 2014)**

ვფიქრობთ, ასეთი ტიპის სიახლეების დანერგვა სკოლებსა და უნივერსიტეტში უზრუნველყოფს სწავლების მთლიანად ინოვაციურ რეჟიმზე გადასვლას და უფრო აქტიურ ორიენტაციას სწავლებისა და შეფასების პროცესში მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გამოყენების თვალაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Comprehensive costing and finance strategies for The Early Learning system In Georgia,Unicef, Tbilisi, 2012
2. ტემპუსის საგრანტო პროექტი: ,,*Access to Inclusive Education and Social Integration (ASPIRE)",*ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია .2014
3. http://www.w3.org/WAI/RC/tools/complete
4. http://www.abilitynet.org.uk/mcmw/